



საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF  
AGRICULTURAL SCIENCES

ციცარი – ბიოლოგიური თავისებურებები,  
ჯიშები, მოვლა-შენახვა, კვერცხის ინკუბაცია,  
კვება, ღაავადებები.  
(რეკომენდაციები)



თბილისი  
2015

აღნიშნული რეკომენდაციები დაეხმარება ციკრის მოშენებით დაინტერესებულ ფერმერებს, მეფრინველეობის დარგის სპეციალისტებს და მოყვარულებს, ვინაიდან ციკრის ხორცი და კვერცხი მაღალი კვებითი ღირებულებითა და საუკეთესო საგემოვნო თვისებებით ხასითდება.

ავტორი: ანატოლი გიორგაძე – დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი.

რეცენზენტები: ლამარა ჯიქია - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მარინა ბარვენაშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი.

რედაქტორი: ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი;

## სარჩევი

შესავალი	4 გვ.
1. პროდუქტიულობა	5
2. სადედე გუნდის დაკომპლექტება	6
3. ინკუბაცია	8
4. მოშენება	10
5. მოზარდის გამოზრდა	12
6. ზრდასრული ფრინველის შენახვა	13
7. კვება	15
8. დაავადებები და მათი პროფილაქტიკა	16

## შესავალი

ციცარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფრინველია. შინაური ციცარი წარმოიშვა გარეული ჩვეულებრივი ციცრისაგან (*Numida mellagris galleata*). დღეისათვის გარეული სახით ბინადრობს მადაგასკარზე. მისი სამშობლო დასავლეთ და სამხრეთ აფრიკაა, თუმცა თავს შესანიშნავად გრძნობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ანტიკურ პერიოდში იგი აფრიკიდან ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში მოხვდა. XV-XVI საუკუნეში პორტუგალიელმა მოგზაურებმა ციცარი დასავლეთ აფრიკიდან ხელმეორედ შემოიყვანეს ევროპაში. ციცარს განსაკუთრებულად აფასებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან ის აქტიურად იკვებება ე.წ. ირმის ტკიპით, რომელიც გაზონებზე ჩნდება ივნისისა და აგვისტოს თვეებში. გარდა ამისა, ფერმერები მას ხშირად უშვებენ კარტოფილის ნათესებში, სადაც ის ანადგურებს კოლორადოს ხოჭოს. აღსანიშნავია, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ციცარი უფრო მეტადაა გავრცელებული ვიდრე ჩვეულებრივი ქათამი. ეს განპირობებულია მისი ხორცისა და კვერცხის მაღალი კვებითი ღირებულებითა და საუკეთესო საგემოვნო თვისებებით. გაყიდვაში ციცრის კვერცხი იშვიათადაა და ამ დროს იგი ბევრად ძვირი ღირს ვიდრე ქათმის. ქათმის კვერცხისაგან განსხვავებით ციცრის კვერცხი ფორმით უფრო ფართე და მოკლეა. მისი მასა საშუალოდ 40-45 გრამია, შეხებისას ცოტაოდენ ხორკლიანია, თუმცა ზოგჯერ მთლიანად გლუვი ზედაპირის მქონეც გვხვდება. მაგარი და მკვრივი ნაჭუჭი იცავს მას საღმონელოზისა და სხვა ბაქტერიების შეჭრისაგან. კვერცხი საუკეთესო დიეტურ პროდუქტად ითვლება. მას შესანიშნავი ჰიპოალერგიული თვისებები გააჩნია და ქოლესტერინსაც ძალიან მცირე ოდენობით შეიცავს. კვერცხის შემადგენლობაში შედის მრავალი საკვები ნივთიერება და დიდი ოდენობით ცილა; ასევე ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სხვადასხვა ვიტამინები: PP, D, B და E; მიკრო და მაკროელემენტები როგორცაა რკინა, ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი. ამინომჟავებიდან აღსანიშნავია ცისტინი, გლუტამინი, ლიზინი, ასპარაგინი და მეთიონინი. ყვითრი მკვეთრი ნარინჯისფერი შეფერილობისაა და მდიდარია A ვიტამინითა და კაროტინოიდებით. 100 გრამი კვერცხის კალორიულობა 43 კკალ-აა.

ციცრის კვერცხი გამოიყენება ანემიის მკურნალობისას, განსაკუთრებით რკინადეფიციტური ანემიის დროს. იგი ძლიერ უმსუბუქებს მდგომარეობას კუჭ-ნაწლავის დაავადებების მქონე ადამიანებს. მისი მიღება რეკომენდებულია ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევებისა და ნივთიერებათა ცვლის პრობლემების დროსაც. ვიტამინებისა და სხვა მნიშვნელოვანი ნივთიერებების შემცველობის გამო, ციცრის კვერცხი სასარგებლოა ორსული ქალებისა და ჩვილბავშვიანი დედებისათვის. მისი მიღება შეუძლიათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ალერგიული არიან სხვა სახეობის კვერცხის მიმართ. აქედან გამომდინარე ციცრის კვერცხის გამოყენება დასაშვებია ბავშვთა კვებაშიც.

ყურადსაღებია, რომ თავისი კვებითი თვისებებით მნიშვნელოვანია არა მარტო კვერცხის შიგთავსი, არამედ წარმატებით გამოიყენება მისი ნაჭუჭიც. იგი შეიცავს კალციუმს, მდიდარია ფოსფორით, რკინით, თუთიით და კაუთით. თუმცა გასათვალისწინებელია, ისიც რომ ნაჭუჭის სასარგებლო თვისებები დიდადაა დამოკიდებული ციცრის მოვლა-შენახვასა და სრულფასოვან კვებაზე.

ციცრის კვერცხმა გამოყენება ჰპოვა კოსმეტოლოგიაშიც. მას იყენებენ სხვადასხვა სახის ნიღბების დასამზადებლად, რომელიც შესანიშნავად წმინდავს სახის კანის ფორებს და წარმატებით ებრძვის კანის ცხიმოვან ბზინვარებას.

**შინაური ციცრის ჯიშებია:** ნაცრისფერი, ზაგორსკული თეთრმკერდა, ციმბირული თეთრი, კრემისფერი, ცისფერი, ვოლგური თეთრი, ლურჯი იასამანი, თეთრი, ყვითელი. **გარეული ციცრის სახეობებია:** სვავისებრი (*Numida mellagris coronata*), ინდაურისებრი, ხუჭუჭა, ქოჩორა (*Numidia mellagris crista*), ფუნჯიანი (*Numidia mellagris ptilorhyncta*), ჩვეულებრივი ციცარი (*Numida mellagris galleata*),

## 1. პროდუქტიულობა

ციცარი მიეკუთვნება მეხორცეული მიმართულების სასოფლო-სამეურნეო ფრინველთა რიცხვს. მისი პროდუქტიულობა ქათამთან შედარებით დაბალია, მაგრამ ხორცისა და კვერცხის ხარისხი და საგემოვნო თვისებები, გაცილებით მაღალი. ზრდასრული ციცრის ცოცხალი მასა საშუალოდ 1,5 კგ-დან (მამლის) 1,8 კგ-მდეა (დედლის). სხვა შინაური ფრინველისაგან განსხვავებით, დედალი ციცარი მასით უფრო მეტია, ვიდრე მამალი. ერთდღიანი ციცრის მასა 27-28 გრამია, სამთვიანის 1,0-დან 1,3 კგ-მდე, ანუ ამ პერიოდისათვის მისი მასა 35-40-ჯერ იზრდება. სანაშენე სეზონზე (აპრილიდან სექტემბრამდე) სხვადასხვა პოპულაციისა და ჯიშური ჯგუფის ციცარი 60-120 ცალ კვერცხს დებს. ციცრის კვერცხი მსხლისებრი ფორმისაა, ღია-ყავისფერი შეფერილობით, ნაჭუჭი დაფარულია პატარა წინწკლებით და წერტილებით. კვერცხის მასა მერყეობს 38 გ-დან 50 გ-მდე. მასში მშრალი ნივთიერებებისა და ცილის შემცველობა პრაქტიკულად იგივეა, როგორც დიდი ზომის ქათმის კვერცხში. A ვიტამინის რაოდენობა 1,5-ჯერ, ხოლო კაროტინოიდების კი 3-ჯერ მეტია. ციცრის კვერცხის ნაჭუჭი 1,5-ჯერ სქელია და 3-ჯერ უფრო მტკიცე, ვიდრე ქათმისა. ნაჭუჭქვეშა აპიცი უფრო სქელი აქვს. მკვრივი ნაჭუჭის გამო ციცრის კვერცხის შენახვა შესაძლებელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში – ნახევარ წლამდე და უფრო მეტიც, ბლავი ბოლოთი ზემოთ. მისი ტრანსპორტირება დასაშვებია საკმაოდ დიდ მანძილზე ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით.

ციცრის ტანხორცი ბევრად უფრო მუქი ფერისაა, ვიდრე ქათმის. ამის ძირითადი მიზეზი მისი თხელი კანია, რომელშიც კუნთები კარგად ილანდება. თავის მხრივ კუნთები შეიცავენ კუნთის ჰემოგლობინს (მიოგლობინს), რომელიც ხორცს უფრო ინტენსიურ შეფერილობას აძლევს, კანს კი პიგმენტურობას მატებს.

მოხარშვისას ციკრის კანი და ხორცი თეთრდება. აღსანიშნავია, რომ ციკრის ძვალი ქათმის ძვალთან შედარებით უფრო თხელი და მსუბუქია, ხოლო მნიშვნელოვანი კვებითი ღირებულების მქონე მკერდის კუნთები (თეთრი ხორცი), უფრო დიდი. ციკრის ხორცი მკვრივია, მცირედ ცხიმოვანი, მშრალი ნივთიერება მასში 5-7%-ით მეტია ვიდრე ქათმისაში, შესაბამისად ნაკლებია წყლის შემცველობა. კარგად მომზადებული ციკრის ხორცი თავისი საგემოვნო თვისებებით მოგვაგონებს გარეული ფრინველის (კაკაბი, ხოხობი) ხორცს. მსოფლიო ბაზარზე ციკრის ხორცის ფასი 1,5-3,0- ჯერ მეტია ქათმის ხორცთან შედარებით.

ბოლო წლების კვლევებმა ციკრის ხორცის კიდევ ერთი თავისებურება გამოავლინა. კერძოდ, შეუცვლადი ამინომჟავების შემცველობით, როგორცაა: ჰისტიდინი, ტრეონინი, ვალინი, მეთიონინი, იზოლეიცინი, ფენილალანინი და მათი ურთიერთფარდობით, ასევე სხვა ბიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, იგი შინაურ ფრინველებს შორის საუკეთესო დიეტურ პროდუქტადაა მიჩნეული. ციკრის მკერდის კუნთებში ამინომჟავების შემცველობა 95,3%-ია, მაშინ როდესაც ბროილერის წიწილის მკერდის კუნთებში 81,8 %. გარდა ამისა, ციკრის ხორცი წიწილისას, ხორცში შეუცვლადი ამინომჟავების წილთადაც აღემატება, რომელიც მასში შესაბამისად – 52,3%-ია, 46,8 %-ის წინააღმდეგ. რაც შეეხება ცვლად ამინომჟავებს, ციკრის ხორცში გვხვდება: ასპარაგინი, სერინი, გლიცინი, ალანინი, თიროზინი, ცისტინი და გლუტამინის მჟავა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაეროს სასურსათო კომისიის (FAO) მიერ ციკრის კვერცხი და ხორცი შეტანილია იმ პროდუქტთა ჩამონათვალში, რომლებიც ადამიანისათვის კეთილსაიმედო საკვებად ითვლება.

## 2. სადღეე გუნდის დაკომპლექტება

ციკრის მოშენების დაწყება ფრინველთა პატარა ჯგუფით არ არის რეკომენდებული. რაც უფრო მრავალრიცხოვანია გუნდი, მით მაღალია ფრინველის შენარჩუნება. ამასთანავე ის გაცილებით სწრაფად იზრდება და ვითარდება. როგორც წესი, დასაწყისისთვის საჭიროა ციკრის ერთდღიანი წიწილის სულ მცირე 20 ფრთა.

სადღეე გუნდის დასაკომპლექტებლად, აღწარმოებისათვის, აუცილებელია გამოზრდილი ფრინველისგან შეირჩეს საუკეთესო, რომელიც იქნება კარგ კონდიციაში, აღნაგობაში დეფექტების გარეშე, ტიპური შეფერილობის (დამახასიათებელი მასი ჯიშური ჯგუფისა და პოპულაციისათვის). გამოწუნებას ექვემდებარება ფრინველი, რომელმაც გადაიტანა რაქიტი (გამრუდებული მკერდის ძვლები და ფრთები), ცალთვალია, აქვს გადაჯვარედინებული ნისკარტი, გაბერილი მუცელი, დაუძღურებულია, აღენიშნება მოძრაობის კოორდინაციის დარღვევები და ა.შ.

ხუთი თვის ასაკში ხდება ფრინველის დახარისხება და შერჩევა. ამ პერიოდისათვის დედლის მასა უნდა იყოს არანაკლებ 1,3 კგ, ხოლო მამლის – 1,4 კგ. აღსანიშნავია, რომ შემდგომში დედალი 7-8 თვის ასაკამდე აგრძელებს ზრდას და

ამ დროისათვის მისი მასა 1,7-1,8 კგ-ს უტოლდება, მაშინ როდესაც მამლის მასა პრაქტიკულად იგივე რჩება. ჯანმრთელ ფრინველს აქვს გადმოკარკლული, პრიალა და მეტად მოძრავი თვალები. მართალია, ციცრის ორივე სქესის ფრინველი ერთნაირადაა შეფერილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისთვის დამახასიათებელია სქესობრივი დიმორფიზმის ნიშნები, რომლის მიხედვით შესაძლებელი ხდება მისი სქესზე გარჩევა. ხუთი თვის ასაკის ნორმალურად განვითარებულ მოზარდს, თავის დანამატების მიხედვით, მკვეთრი განსხვავებები აღენიშნება. კერძოდ, მდედრს აქვს პატარა და ბრტყელი მეჭეჭი, რომელიც ზედ ნისკარტზეა მიკრული, მამრს პირიქით, გაცილებით დიდი, ნისკარტს ზემოთ ამოზურცული და მკვეთრად შეფერილი. დედლის ბიბილო მცირე ზომისაა და უკან გადაწეული, მაშინ როდესაც მამალს, შედარებით მასიურ თავზე, საგრძნობლად დიდი ბიბილო თავზე ვერტიკალურად აზის. გარდა ამისა, მამლის თავზე ჩამოკიდებული საყურეები უფრო დიდია და ხშირად ჩაბრუნებულიც.

ციცრის დედალს, ხუთი თვის ასაკში ბოქვენის ძვლები ერთმანეთისაგან ცოტათი დაცილებული აქვს (მათ შორის თავისუფლად თავსდება ერთი ან ორი თითი), მამალს – არა. ასაკის მატებასთან ერთად დედლის ბოქვენის ძვლები აგრძელებენ დაცილებას და კვერცხდების დაწყებისას მათ შორის შეიძლება თავისუფლად მოთავსდეს უკვე 2-4 თითი.

არსებობს სქესის განსაზღვრის სარწმუნო, ე.წ. კლოაკის მეთოდი. თუმცა იგი ნაკლებად გამოიყენება, ზედმეტი შრომისა და ფრინველისათვის სტრესის მიყენების თავიდან აცილების გამო. ციცრის სქესის განსაზღვრა ზუსტად და სწრაფად ძირითადად მისი თავის პროფილის, ბოქვენის ძვლების, მასისა და ნასუქობის მიხედვით ხდება.

ერთ მამალზე რეკომენდებულია ოთხი-ხუთი დედალი, გუნდში სასურველია იყოს 2-3 მამალი. სანაშენედ ტოვებენ სრულიად ჯანმრთელ, დიდი ზომის აგრესიულ და ძლიერ მამალს მკვეთრად გამოხატული მეორადი სქესობრივი ნიშნებით, როგორცაა: მსხვილი თავი ამოზურცული მეჭეჭით, დიდი ბიბილოთი და საყურეებით, კარგად განვითარებული ხმის ტომსიკით, მოძრავი, აქტიური, გადმოკარკლული თვალებით. ასეთი მამალი საუკეთესო მწარმოებელია და კარგად გადასცემს თავის ნიშან-თვისებებს შთამომავლობას.

დედალს უნდა ჰქონდეს: არც ისე დიდი თავი, პატარა მეჭეჭითა და ბიბილოთი, მცირე ზომის ბრტყელი ფორმის საყურეებით; დაცილებული ბოქვენის ძვლები და რბილი გამობერილი მუცელი.

უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლისუნარიანობით დედალი ჩამორჩება მამალს. კვერცხდების პირველ პერიოდში ციცრის კვერცხი შედარებით პატარა ზომისაა, ხშირად არასტანდარტული ფორმის და საინკუბაციოდ გამოუსადეგარი. ამას თან ერთვის ისიც, რომ მამალი სქესობრივ სიმწიფეს დედალთან შედარებით უფრო გვიან აღწევს, რის გამოც კვერცხის უმეტესობა პირველი 4-6 კვირის განმავლობაში გაუნაყოფიერებელია. ამ არასასურველი ფაქტის თავიდან აცილების მიზნით, სადედე გუნდის დაკომპლექტების დროს, მამალი დედალზე 1-2 თვით მეტი ასაკის უნდა შეირჩეს.

### 3. ინკუბაცია

სანაშენე მიზნებისათვის საინკუბაციოდ გამოიყენება კვერცხი, რომლის შენახვის ხანგრძლივობა, შესაბამის პირობებში არ აღემატება 6-7 დღეს. კერძოდ, სპეციალურ კვერცხსადებში ბლავი ბოლოთი ზემოთ ჩაწყობილ კვერცხს ინახავენ ბნელ ოთახში, სადაც ჰაერის ტემპერატურა  $2,0^{\circ}\text{C}$ -დან  $6,0^{\circ}\text{C}$ -მდე მერყეობს, ხოლო ტენიანობა 70-80%-ია. ინკუბატორში გადატანამდე კვერცხს ყურადღებით ახარისხებენ და ოვოსკოპის საშუალებით ღანდავენ. საინკუბაციოდ ვარგისი კვერცხის მასა არ უნდა იყოს 40 გ-ზე ნაკლები, უნდა ჰქონდეს მსხლისებური ფორმა, მკვრივი ნაჭუჭი ბზარების გარეშე. არ გამოდგება ძალიან მსხვილი ან წვრილი კვერცხი, ასევე ორყვითრიანი, არასწორი ფორმის, ჭუჭყიანი, ხანგრძლივად შენახული. გაბზარული კვერცხის აღმოსაჩენად ორ კვერცხს ერთმანეთს ფრთხილად ურტყამენ და გამოცემული ხმის მიხედვით ადგენენ დეფექტიანს. დაშვებულია დაბინძურებული კვერცხის გარეცხვა კალიუმპერგანგანატის სუსტი ხსნარით, რომლის შემდეგაც მას აუცილებლად აშრობენ.

საინკუბაციო კვერცხზე არსებული სხვადასხვა არასასურველი მიკროფლორის (ბაქტერიები, სოკოს სპორები) განადგურების მიზნით, ინკუბატორებში ხშირად მიმართავენ მის წინასწარ დამუშავებას მკაცრად განსაზღვრული დროის განმავლობაში პელიო-ნეონის ლაზერის ან ულტრაიისფერი სხივების საშუალებით. აღნიშნული სხივების დადებითი მოქმედება ვლინდება ასევე ჩანასახის ზრდა-განვითარებაზე და გამოჩეკილი წიწილის რაოდენობაზე, რომელიც 5-7%-ით იზრდება. კვერცხის დეზინფექციას ატარებენ ფორმალდეჰიდის ორთქლითაც.

საინკუბაციო კვერცხის 1,0 გ ყვითრი უნდა შეიცავდეს 35 მკგ კაროტინოიდებს და 10 მკგ A ვიტამინს. მასის მიხედვით ციკრის კვერცხი იყოფა: წვრილ - 38-40 გ, საშუალო - 41-44 გ და მსხვილად - 46-47 გ. საინკუბაციოდ სასურველია შეირჩეს ერთნაირი მასის კვერცხი, რადგან განსხვავებულებს, ინკუბაციის სხვადასხვა რეჟიმი ესაჭიროება. ინკუბატორიუმში ტემპერატურა არ უნდა იყოს  $18,0^{\circ}\text{C}$ -ზე ნაკლები. კვერცხს აწყობენ  $38^{\circ}\text{C}$ -მდე წინასწარ გაცხელებულ ინკუბატორში. ინკუბატორში კვერცხის ავტომატური ბრუნვის შემთხვევაში, მას აწყობენ ბლავი ბოლოთი ზემოთ, ხოლო თუ ბრუნვა ხელით ხდება, მაშინ კვერცხი უნდა მოთავსდეს ჰორიზონტალურად. შეცდომის თავიდან აცილების მიზნით კვერცხს ერთ მხარეზე ჯვარს ასვამენ, მეორეზე 0-ს. კვერცხის გადაბრუნება უნდა დაიწყოს ჩაწყობიდან 12 საათის შემდეგ. გადაბრუნებისას უმჯობესდება გათბობა, არ ხდება ჩანასახისა და მისი გარსის მიწებება ნაჭუჭთან. კვერცხის გადაბრუნება დღე-ღამეში აუცილებლად 6-ჯერ უნდა მოხდეს.

ინკუბატორიდან თაროები გამოსაჩეკ კამერაში ინკუბაციის მე-26 დღეს გადააქვთ. ამ დროს კამერაში ტენიანობა 5-10%-ით მაღალია ვიდრე ქათმის კვერცხის ინკუბაციისას. აღსანიშნავია, რომ თუ საინკუბაციო კვერცხი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია მისი შენახვის პირობები და ინკუბაციის რეჟიმი, მაშინ გამოჩეკვის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს და



გამოხეკილი წიწილაც კონდიციურია. საბოლოო ჯამში კი იზრდება როგორც გამოხეკილი წიწილის რაოდენობა, ასევე მისი შენარჩუნების პროცენტიც.

ამჟამად ცნობილია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა მიერ შემუშავებული, ციკრის კვერცხის ინკუბაციის განსხვავებული რეჟიმები, რომელთა გამოყენებაც ერთნაირად გამართლებულია.

ქვემოთ მოყვანილია ციკრის კვერცხის ინკუბაციის სხვადასხვა რეჟიმი:

### **ინკუბაციის რეჟიმი I:**

**მე-14 დღემდე** შედარებით პატარა ზომის კვერცხისათვის ტემპერატურა- 37,0-37,2<sup>0</sup>C-ია;

**მე-14 დღემდე** მსხვილი ზომის კვერცხისთვის ტემპერატურა- 37,4-37,5<sup>0</sup>C;

**მე-14 დღის** შემდეგ ნებისმიერი მასის კვერცხისათვის ტემპერატურა უნდა იყოს - 37,4-37,5<sup>0</sup>C, ფარდობითი ტენიანობა 60-65%, დღე-ღამეში თაროების ბრუნვათა რიცხვი 12. კვერცხის საინკუბაციო ხარისხის შესამოწმებლად პირველი ოვოსკოპირება ხორციელდება ინკუბაციის **მე-9 დღეს**. იმისათვის რომ დადგინდეს შეიკრა თუ არა კვერცხის მახვილ ბოლოზე ალანტოსის, ინკუბაციის **მე-14 დღეს** ხდება სხვადასხვა თაროებიდან შეგროვილი მცირერიცხოვანი საკონტროლო ჯგუფის დალანდვა. მომდევნო დალანდვა ტარდება ინკუბაციის **26-ე დღეს**, რომლის დროსაც ხდება ყველა ჩამკვდარემბრიონიანი კვერცხის გამორჩევა, ხოლო კვერცხი რომელშიც ცოცხალი ემბრიონია, გამოსაჩეკ კამერაში გადააქვთ. აქ ტემპერატურა 36,5-36,8<sup>0</sup>C-ია, ხოლო ფარდობითი ტენიანობა 70-75%. ციკრის კვერცხის ინკუბაციის საერთო ხანგრძლივობა 27-28 დღეა. ამ პერიოდში ის თავისი საწყისი მასის 14%-ს კარგავს.

### **ინკუბაციის რეჟიმი II:**

**1 დან 13 დღის** ჩათვლით ინკუბატორში ტემპერატურა უნდა იყოს 37,8 °C, ფარდობითი ტენიანობა 60%. მე-6 დღიდან, დღეში ერთხელ, ხდება კვერცხის გაცივება, რომლის დროსაც ინკუბატორის კარს 5 წუთით აღებენ.

**14-დან 24 დღის** ჩათვლით ინკუბატორში ტემპერატურა უნდა იყოს 37,5 °C, ფარდობითი ტენიანობა 50%. კვერცხის გაცივების ხანგრძლივობა იზრდება 10 წუთამდე. გამოჩეკვამდე 3 დღით ადრე წყვეტენ კვერცხის ბრუნვასა და გაცივებას და იგი საჩეკში გადააქვთ, სადაც ტემპერატურას ამცირებენ 37<sup>0</sup>C-მდე, ხოლო ტენიანობას 60%-მდე ზრდიან.

**26 დღეს** ტემპერატურა რჩება 37<sup>0</sup>C, ხოლო ტენიანობას უკვე 96%-მდე ზრდიან. ტენიანობის გაზრდა, რომელიც კვერცხის წყლით დანამვითაც შეიძლება, ხელს უწყობს წიწილების გამოჩეკვის პროცესს, რადგან ამ დროს ნაჭუჭი თხელდება და წიწილები ადვილად ტეხენ მას. **27 დღეს** წიწილები იჩეკებიან.

საჩუქრად კამერაში თაროების გადატანის შემდეგ გამოჩეკვის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს და გამოჩეკვაც მასიურად ხდება. გაშრობისთანავე წიწილებს ერთდღიანი წიწილებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ყუთებში სვამენ.

ახლად გამოჩეკილი ციცრის წიწილა პირველი სამი დღის განმავლობაში ნაკლებად მოძრავია, თვალები დახუჭული აქვს და გამათობელთან ამჯობინებს ყოფნას. ცხრილი 1-ში მოცემულია ერთდღიანი ციცრის მასის დამოკიდებულება საინკუბაციო კვერცხის მასასთან:

**ცხრილი 1.**

ციცრის კვერცხისა და ერთდღიანი წიწილის მასა გრამებში	
კვერცხი	ციცარი
38	23 - 26,5
40	27 - 29
45	30 - 31,5
50	32,5 - 34,5

გამოჩეკილი ციცრის წიწილის ხარისხის შემოწმება უმჯობესია მაშინ, როდესაც ინკუბატორიდან მისი გამოყვანის შემდეგ გაივლის 8-12 სთ. კარგ შედეგად ითვლება, როდესაც ჯანმრთელი, კონდიციური წიწილების რაოდენობა არ არის ჩაწყობილი კვერცხის საერთო ოდენობის 55-60%-ზე ნაკლები.

#### 4. მოშენება

სანაშენე სეზონის დროს მნიშვნელოვანია, რომ ციცარს შეწყვილებისთვის საკმარისი ადგილი ჰქონდეს. ვიწრო შენობაში, სადაც 1 კვ.მ-ზე მოდის 5 და მეტი ფრთა, ასევე გალიური შენახვის დროს, ფრინველები ერთმანეთს არ უწყვილდებიან და მიღებული კვერცხის უმეტესობა გაუნაყოფიერებელია. განაყოფიერებული კვერცხის მისაღებად საჭიროა, რომ 1 მამალზე 4-5 დედალი მოდიოდეს.

საინკუბაციოდ კვერცხს აგროვებენ დღის პირველ ნახევარში და ათავსებენ სპეციალურ კვერცხსაღებში ბლაგვი ბოლოთი ზემოთ. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წვიმიან ამინდში ფრინველმა კვერცხი სეირანზე არ დადოს. ამ დროს კვერცხის ნაჭუჭი ჭუჭყიანდება და მისი გამოყენება საინკუბაციოდ აღარ შეიძლება.

სასურველი არ არის სხვადასხვა შეფერილობის ციცრის ერთად შენახვაც, რადგან თავისუფალი შეჯვარების შედეგად ჩნდება საერთოდ გაურკვეველი შეფერილობის ციცარი, ამას ერთვის ისიც, რომ მისი პროდუქტიულობა მშობლებთან შედარებით გაცილებით დაბალია.

ციცრის ქათამთან ერთად შენახვის დროს შესაძლებელია ჰიბრიდის მიღება. ამ დროს ერთი მშობელი ციცარია, მეორე კი ქათამი ან მამალი. ჰიბრიდი საკმაოდ დიდი ზომისაა და წმინდასისხლიანი ციცრისაგან გამოირჩევა იმით, რომ თავზე არ აქვს

დანამატები (ბიბილო, საყურეები და სხვა), არც სასქესო ჯირკვლები აქვს განვითარებული (სქესის გარკვევა გაძნელებულია არა მარტო გარეგნული ნიშნებით, არამედ ხშირად გაკვეთის შემდეგაც), რის გამოც უნაყოფოა. თუმცა წმინდასისხლიან ციცართან შედარებით გამოირჩევა მაღალი სიცოცხლისუნარიანობით და მეტი სიცოცხლის ხანგრძლივობით.

ციცრისათვის დამახასიათებელია საპირისპირო სქესის ინდივიდუალური ამორჩევა. გარეული ციცარი მონოგამურია, ანუ ოჯახურ წყვილად ცხოვრობს. მოშინაურების შემდეგ, ხელოვნური შერჩევის შედეგად ის პოლიგამურად იქცა. თუ მამალი ციცარი მოკვდა ან დაიკარგა დედალი 10 დღის განმავლობაში დებენ განაყოფიერებულ კვერცხებს, საიდანაც შესაძლებელია სავსებით ჯანმრთელი ციცრის მიღება. შემდგომ პერიოდში განაყოფიერებული კვერცხის რაოდენობა მცირდება, ხოლო გამოჩეკილი წიწილის სიცოცხლისუნარიანობა მკვეთრად უარესდება.

მამლისაგან, დაახლოებით 20 დღიანი იზოლირების შემდეგ, დედალი იწყებს გაუნაყოფიერებელი კვერცხის დებას, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, როდესაც საჭირო ხდება ერთი მწარმოებლის მეორეთი შეცვლა, ე.ი. ახალი მწარმოებლთან შეწყვილება სასურველია, პირველი მწარმოებლის საიზოლაციო პერიოდიდან მხოლოდ სამი კვირის გასვლის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ახალ ფრინველს გუნდში მეგობრულად არ ხვდებიან. ხშირია ჩხუბი, ამიტომ სასურველია გუნდში ერთდროულად რამდენიმე ახალი ფრინველის შეყვანა. ეს თავიდან აგვაცილებს ფრინველის სტრესს და მისი შენარჩუნებაც უკეთესი იქნება.

განაყოფიერებული კვერცხის პროცენტული რაოდენობა ახალგაზრდა ციცარს, ორწლიან დედალთან შედარებით, გაცილებით ნაკლები აქვს. გარდა ამისა ორწლიანი დედლის კვერცხი უფრო მსხვილია და გამოჩეკილი წიწილაც უფრო სიცოცხლისუნარიანი და მოძრავი. დაუშვებელია ციცრის ახლონათესაური შეჯვარება, რადგან ამ დროს მიიღება არაკონდიციური შთამომავლობა.

მეორე სანაშენე სეზონის შემდეგ სასურველია ასაკოვანი ფრინველის შეცვლა ახალგაზრდით. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ სამწლიანი ციცრების კვერცხმდებლობა ეცემა, ხოლო კვერცხის მასა კლებულობს (ახალგაზრდებთან შედარებითაც კი), სამწლიანი მამლები კარგავენ სქესობრივ აქტიურობას და აღწარმოების უნარს. აღსანიშნავია, რომ ორწლიანი და განსაკუთრებით სამწლიანი დედლები ემსგავსებიან მამლებს. მათ უდიდებობა მეჭეჭი, ბიბილო და საყურეები.

სანაშენე სეზონის დროს, თუ ციცრის შენახვა ხდება შეუზღუდავ სასეირნო პირობებში, მაშინ მისი კვერცხის განაყოფიერება და მიღებული ციცრის მოზარდის ხარისხი საგრძნობლად მაღალია, ვიდრე იმ ციცრებისა, რომელთა შენახვაც ხდება მცირე ზომის იზოლირებულ შენობაში სასეირნო ფართობის გარეშე.

## 5. მოზარდის გამოზრდა

კრუხის (ქათამი ან ინდაური) მიერ ციცრის წიწილის გამოზრდის შემთხვევაში, მეფრინველის საქმიანობა შედარებით გაადვილებულია, რადგან ეს პროცესი არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ქათმის წიწილის გამოზრდისაგან. თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ერთი თვის ციცრის წიწილა უკვე ძალიან მოძრავია და ფრენას ცდილობს. ამის თავიდან ასაცილებლად, გამოზრდის ნებისმიერი ტიპის დროს, ერთდღიან წიწილს რომელიმე ფრთაზე ბოლოში, მცირე ნაწილს მაკრატლის საშუალებით მოკვეთენ და ჭრილობას იოდით უმუშავენ. ამპუტაციის შემდეგ ფრინველს ფრენა აღარ შეუძლია.

ციცრის წიწილის კრუხის გარეშე გამოზრდისას, საფრინველეში აწყობენ სხვადასხვა ტიპის ელექტროგამათბობელს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს განათებაც. ქვეშაფენად იყენებენ მშრალი ხის ნახერხს, პატარა ზომის საკვებურებით დგამენ მდინარის ქვიშას, შედარებით მოზრდილში კი საკვებს ყრიან. ასევე ამონტაჟებენ ვაკუუმიან სარწყულებლებს, სადაც წყლის ტემპერატურა ოთახის ტემპერატურას შეესაბამება.

ჰაერის ტემპერატურა გამათბობლის ქვეშ პირველი 6-8 დღის განმავლობაში უნდა იყოს 32-36<sup>0</sup> C. გამათბობლებს ისე აწყობენ, რომ ფრინველს შეეძლოს მის ქვეშიდან გამოსვლა და ოთახის ტემპერატურის ზონაში გადაადგილება (20<sup>0</sup> C).

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დაუშვებელია: ციცრის გამოზრდა ტენიან ქვეშაფენზე; მისი გაშვება სეირანში ცვრიან ბალახზე, წვიმიან ამინდში, ან ძალევე მისი გადაღების შემდეგ. დასველებული ციცარი განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. პირველი თვის განმავლობაში გამათბობლები 24 სთ უნდა იყოს ჩართული. შემდგომში გათბობის დროს და ჰაერის ტემპერატურას ნელ-ნელა ამცირებენ. 3 თვის ასაკის ციცარს გამათბობელი აღარ ესაჭიროება. ციცარი არ მოითხოვს ხელოვნურ ბუდეებს და სხვა მსგავსი ტიპის საშუალებების მოწყობას, თუმცა მისთვის მნიშვნელოვანია, რომ საფრინველეში იდგეს ოდნავ მაღალი ქვიშით სავსე ყუთი, სადაც იგი ქვიშის აბაზანებს მიიღებს და პარაზიტებისაგან განთავისუფლდება.

სამი კვირის ასაკიდან თბილ, უნაღვეკო, უქარო და მზიან ამინდში, დასაშვებია ციცრის წიწილის გაშვება მშრალ და სუფთა სეირანზე. ყურადღებია, რომ სეირანზე არ შეიძლება ფრინველისათვის საკვების მიცემა, რადგან მას უნდა ახსოვდეს ის ძირითადი საფრინველე, სადაც მუდმივად იღებს საკვებსა და წყალს. სასურველია სეირანზე იყოს ბუჩქნარი და ხეები, რომ სიცხის დროს ფრინველმა თავის შეფარება შეძლოს.

გალიური შენახვა ნაკლებად შრომატევადია, მაგრამ ციცრის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლთან დაკავშირებით, მეტ ყურადღებას მოითხოვს. ფრთებჩამოშვებული, მოზუზული, ერთმანეთთან შეჯგუფებული ფრინველი, რომელიც არ გამოსცემს ხმას და თითქმის უმოძრაოა, აუცილებლად საჭიროებს ვეტქიმის ჩარევას.

ციცრისათვის განკუთვნილ შენობაში აუცილებელია ჰიგიენური პირობების დაცვა. ყოველდღიურად უნდა გასუფთავდეს და გაირეცხოს საკვებურები და სარწყულებლები, წყალი სარწყულებში დღეში სამჯერ უნდა გამოიცვალოს, ქვეშაფენი უნდა იყოს მშრალი.

## 6. ზრდასრული ფრინველის შენახვა

ზრდასრული ფრინველის შენახვის ტექნოლოგიური სქემა დამოკიდებულია იმ მოთხოვნაზე, რომლისთვისაც ფრინველს აშენებენ.

სასურსათო, დიეტური და გასტრონომიული მიზნებისთვის კვერცხის მისაღებად, ფრინველს დახარისხების შემდეგ ათავსებენ გამთბარ შენობაში გაანგარიშებით 5 ფრთა 1 კვ.მ-ზე. იატაკზე აფენენ ღრმა 10-15 სმ სისქის საფენს, რომელიც შედგება ხის მშრალი ნახერხის, ტორფის, თივისა და მშრალი მსხვილი ქვიშისაგან. საკვებურებსა და საწყურებლებს დგამენ ერთი ფრთა/ფრინველზე კვებისა და დაწყურების ფრონტის გათვალისწინებით, რომელიც შესაბამისად 5 სმ და 1-2 სმ-ის ტოლია. ტემპერატურა შენობაში არ უნდა იყოს  $14^{\circ}\text{C}$ -ზე ნაკლები, მნიშვნელოვანია განათების რეჟიმის დაცვა. ერთდღიანი ციკრის წიწილისათვის დღის ხანგრძლივობა 24 საათია. სამი კვირის ასაკიდან განათების ხანგრძლივობას ყოველ კვირა 1 საათით ამცირებენ, რომელიც 5 კვირის ასაკის ფრინველისათვის დაჰყავთ 8 საათამდე. ეს რეჟიმი ნარჩუნდება 1 თვე. 6 თვის ასაკიდან განათებას ყოველ კვირა თითო საათით ზრდიან და აჰყავთ 14 საათამდე. მოგვიანებით დღის სინათლის ხანგრძლივობას უტოლებენ ბუნებრივს. ივნისის ბოლოსათვის იგი 17 საათს შეადგენს. შემდგომში ხელოვნური განათების გამოყენებით, ბუნებრივი დღის ხანგრძლივობის შემცირების პარალელურად, ხდება 17 საათიანი განათების შენარჩუნება. სინათლის ასეთი რეჟიმის საშუალებით, წლის განმავლობაში კვერცხმდებლობა 20-40 ცალით იზრდება.

ჩვეულებრივ, ოქტომბერ-ნოემბრის თვეში ციცარი სრულად წყვეტს კვერცხმდებლობას. ამ დროისთვის დღის სინათლის ხანგრძლივობის თანდათან, ერთი თვის განმავლობაში 17-დან 8 საათამდე შემცირება, ფრინველის სწრაფ განგურს იწვევს. ძველი ბუმბულის ახლით შეცვლის შემდეგ, იგი მასაში იმატებს და 2-3 თვის შემდეგ იწყებს კვერცხდების მეორე ციკლს. ამჯერად ფრინველი, ახალგაზრდა ციცართან შედარებით, ბევრად უფრო დიდი ზომის კვერცხს დებს, თუმცა უფრო ნაკლები ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ კვერცხის სასურსათო მიზნებისათვის მიღების დროს, გუნდში მამლის არსებობას არავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭება.

საინკუბაციო კვერცხის მისაღებად სინათლის ხანგრძლივობის გაზრდას 7 თვის ასაკიდან იწყებენ. ამ დროისათვის ახალგაზრდა ციცარი ასწრებს განვითარებასა და მოძლიერებას. მართალია, კვერცხდების დაწყებას ცოტათი აგვიანებს, მაგრამ დებს დიდი ზომის და ინკუბაციისათვის გამოსადეგ კვერცხს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სანაშენე გუნდში მამლების არსებობა უდაოდ მნიშვნელოვანია. ფრინველის ამ გუნდისათვის სინათლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 სთ-ს. იმისათვის, რომ სანაშენე პროდუქცია თანაბრად იქნეს მიღებული, ზაფხულის მეორე ნახევარში რეკომენდებულია დამატებითი განათების გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრის პირველ დეკადაში კვერცხდება შეწყდება და ციცარს დაეწყება განგური. თუ ზამთარში ციკრის შენახვა მოხდება ბუნებრივი განათების პირობებში, მაშინ ის კვერცხის დებას საერთოდ არ დაიწყებს.

ზაფხულში ციცარი ადრე იღვიძებს, ჭამს წინა დღით მორჩენილ საკვებს. დილით საკვებურების, სარწყულებლების და შენობის დასუფთავების შემდეგ, ციცარს აძლევენ

ახალ საკვებს, წყალს და უშვებენ სეირანზე, სადაც ის ატარებს დღის პირველ ნახევარს იმ დროის გამოკლებით, როდესაც ის შენობაში კვერცხის დასადებად შედის. ხშირად ის კვერცხს დებს სეირანზე არსებულ ჩადრმაგებულ ადგილას, ბუჩქების ქვეშ და ა.შ.

თუ ციცარს ფრთის თითის ამპუტაცია თავის დროზე არ ჩაუტარდა, მაშინ ზრდასრულ ფრინველს ერთ-ერთ ფრთაზე 10-12 სმ-ით უმოკლებენ საფრენ ბუმბულს და ამას წელიწადში 2-3-ჯერ იმეორებენ. ზაფხულობით დაშვებულია ციცარის სხვადასხვა ადგილას (ბაღები, ბოსტნები) მწვემსვა, სადაც ის თავად პოულობს საკვებს – მწერებსა და მატლებს, ასევე წიწკნის ბალახს. ზაფხულის პერიოდში ციცარს უწყობენ დროებით სადგომებს, რომელთა გადატანაც ერთი ადგილიდან მეორეზე ძალიან ადვილია. ივნის-ივლისის თვეში ციცარის უმრავლესობას შეენიშნება კრუხობის ინსტიქტის გაღვიძება. ზოგიერთი დედალი კვერცხის დადების შემდეგ კვერცხზე ყოვნდება და აგრესიულად რეაგირებს ყოველგვარ ხელშემშლელ ფაქტორზე. ამიტომ მიზანშეწონელია დამით კვერცხის საფრინველში დატოვება. მოკრუხების მიუხედავად, დედალი ციცარი განაგრძობს კვერცხდებას. მუცელზე მას უჩნდება ე.წ. კრუხობის ლაქები. ეს არის ბუმბულგაცილი, კანის ცალკეული შიშველი ადგილები, რომლებიც შეხებისას ცხელია. 1-2 კვირის შემდეგ ფრინველს უნელდება კვერცხზე ჯდომის სურვილი, ხოლო უფრო მოგვიანებით საერთოდ უქრება. დაუშვებელია ციცარის კრუხად დასმა, რადგან ის ხშირად ტოვებს კვერცხს, არ უფრთხილდება წიწილს და ა.შ.

ციცარის სეირანზე გაშვება შესაძლებელია უქარო ყინვიან ამინდშიც. ამ დროს თოვლზე ყრიან თივას, წიწვოვნების ტოტებს ან აწყობენ ფიცრებს, რომ ფრინველი არ დასველდეს.

გალიური შენახვის დროს სასურსათო კვერცხის მისადებად ციცარს ათავსებენ სპეციალურ გალიებში, თითოეულში 20 ფრთის ოდენობით.

გალიაში ციცარის მოვლა გაცილებით ადვილია და მომვლელისგან ნაკლებ შრომას მოითხოვს. როგორც წესი, იგი ოთხ ნაწილადაა გადატიხრული და თითოეულში 5 ფრთა თავსდება.

გალიური შენახვა, იატაკზე შენახვასთან შედარებით, საშუალებას იძლევა 4-5 ჯერ შემცირდეს ფრინველის დასმის ფართობი და 10-15%-ით საკვების დანახარჯი. ამ დროს არ არის საჭირო დღის განმავლობაში ფრინველზე მუდმივად თვალყურის დევნა; უზრუნველყოფილია საჭირო სიმძლავრისა და ხანგრძლივობის განათება; მაღალია სასურსათო კვერცხის ხარისხი. ამავე დროს, კვერცხდების I ციკლში (5-6 თვე) ყოველი კვერცხმდებელიდან შესაძლებელია 100-120 ცალი კვერცხის მიღება. კვერცხდების შეწყვეტის ან შემცირების შემდეგ მიზანშეწონილია ფრინველის გადაყვანა იატაკურ შენახვაზე და ხელოვნური განგურის გამოწვევა, რომლის დაწყებიდან 1,5-2 თვის შემდეგ ფრინველს ეწყება კვერცხდების II ციკლი. ამ დროს ფრინველს შეუძლია 80-100 ცალი, შედარებით დიდი ზომის კვერცხის დადება. ციცარის გამოყენება მესამე პროდუქტიულ წელს რეკომენდებული არ არის.

გალიაში დასმის შემდეგ, ფრინველს უნდა შეექმნას მშვიდი გარემო. გალიაში მოზარდის გამოზრდა, ბევრად მოსახერხებელია 2 თვის ასაკიდან, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც გალიის თითოეულ დანაყოფში 10 ფრთას ათავსებენ.

## 7. კვება

ციცარს დახლოებით ისე კვებავენ, როგორც ქათმის წიწილას, იმ განსხვავებით, რომ მის საკვებში უფრო მეტია ნედლი პროტეინი (ცილა) – დაახლოებით 23-24%. ფრინველის ასაკის მატებასთან ერთად პროტეინის შემცველობას ულუფაში ამცირებენ 17-19%-მდე. გარდა ამისა, ციცარი ქათმის წიწილისაგან განსხვავებით, საჭიროებს უფრო მეტი რაოდენობის მწვანე და წვნიან საკვებს. ერთი კვირის ასაკიდან იგი ინტენსიურად მიირთმევენ წვრილად დაჭრილ ახალ ბალახულს (სალათის ფოთლებს, ბაბუაწვერას, კომბოსტოს ფოთლებს და სხვა). სასურველია, რომ მისი საკვები ულუფა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდეს.

ციცრის საკვებად გამოიყენება ქათმის წიწილისთვის (ბროილერისათვის) განკუთვნილი კომბინირებული საკვები, ახალი ნადუდი, მშრალი რძე, ხორბლის მშრალი ბურღულეული, დაღერდილი საკვები ხორბალი და სიმინდი. გარდა ამისა ულუფა უნდა შეიცავდეს ცარცს, დამტკრეულ ნიჟარას, მსხვილმარცვლოვან სუფთა მდინარის ქვიშას, კარგად მოხარშულ და დაქუცმაცებულ კვერცხის ნაჭუჭს.

სიცოცხლის პირველ დღეებში ციცარი ხალისით იღებს მოხარშულ და წვრილად დაკეპილ კვერცხს. 1 თვის ასაკიდან მისთვის სასარგებლოა ყოველდღიურად საკვებში შერეული საფუარის მიცემა 1 ფრთაზე 0,1 გ-ის ოდენობით. გარდა ამისა ციცარი მიირთმევენ სხვადასხვა სახის საჭმლის ნარჩენს, ტურნეფსს, საკვებ ჭარხალს, ბალახის ფქვილს, სიმინდის დაქუცმაცებულ ფოთოლს, ახლად დამზადებულ არამჟავე სილოსს და სენაუსს.

კარგი კვების პირობებში ციცარი 3 თვის ასაკში 1,0-1,3 კგ-ს აღწევს. ამასთან ყოველ 1 კგ წონამატზე ხარჯავს 3-3,5 კგ საკვებს (ქარხნული წარმოების ფრინველის კომბინირებულ საკვებს).

ზრდასრული ციცრის საკვები ულუფა შედგება 130-150გ ფრინველის კომბინირებული საკვებისაგან ან მარცვლოვნების ნარევისაგან. გარდა ამისა, მას დამატებით მუდმივად ეძლევა დაქუცმაცებული ბალახი და ბოსტნეულის ნარჩენები, ხოლო ზამთრიდან ზაფხულის დადგომამდე – პერიოდულად, თითოეული ფრთა დღე-ღამეში ღებულობს 30-50 გრამის ოდენობით მწვანე საკვებს. მარცვლოვნები შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა საჭმლის ნარჩენებით (კარტოფილი, ფაფები და ა.შ.), საცხობი საფუარის დამატებით და ა.შ.

თუ ციცარი ყოველდღე სარგებლობს სეირანით, იმყოფება ბაღში ან მინდორში, იგი აქ პოულობს მწერებს, მატლებს, ბაყაყებს, თაგვებს და ა. შ. და ამდენად, მთლიანად იკმაყოფილებს მოთხოვნას ცხოველური წარმოშობის საკვებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მის ულუფაში დამატებით აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი ცხოველური წარმოშობის საკვები, როგორცაა მოხარშული თევზის ანარჩენები, თერმულად დამუშავებული დაქუცმაცებული ხორცი, ნაკლებციხიმიანი ნადუდი და ა.შ.

ზრდასრულ ციცარს კვებავენ დღეში 3-ჯერ. დღის 7-8 საათზე, დღის 12-14 საათზე და საღამოს 18-19 საათზე. სასმელ წყალს ცვლიან დღეში 3-ჯერ. ცივ ამინდში ფრინველს ოთახის ტემპერატურის წყალს ასმევენ. ძირითადი საკვების გარდა ციცრის

საკვებურებში მუდმივად უნდა იყოს მინერალური საკვები, როგორცაა: დამსხვრეული ნიჟარა, ცარცი, გარეცხილი მდინარის ქვიშა და სხვა.

მინერალური საკვები ერთის მხრივ ხელს უწყობს კვერცხის ნაჭუჭის ნორმალურ ჩამოყალიბებას, განაპირობებს მის სიმაგრეს; მეორის მხრივ იგი არეგულირებს ფრინველის სისხლში არსებულ კალციუმის ოპტიმალურ რაოდენობას; გარდა ამისა, ფრინველის კუჭში მოხვედრილი მდინარის ქვიშის შედარებით მსხვილი მარცვლები საკვებს მექანიკურად ამუშავებს .

ციცრისთვის ქარხნული ტიპის კომბინირებული საკვების მიცემა მიზანშეწონილია მშრალი სახით. საუკეთესო საკვებად მიიჩნევა მარცვლოვნები, რომელსაც ამატებენ სიმინდის შროტს.

ერთ ციცარს წლის განმავლობაში პირობითად ესაჭიროება 32 კგ მარცვლოვანი ან ამდენივე ქარხნული ტიპის ფრინველის კომბინირებული საკვები; მარცვლოვან საკვებნარევში დანამატის სახით 3,5 კგ ცხოველური წარმოშობის საკვები, 4 კგ ძირხვენები, 12 კგ მწვანე საკვები, 0,5 კგ -საცხობი საფუარი და 2 კგ მინერალური საკვები.

ციცრის სეირანით ხშირი სარგებლობისას, საკვები კონცენტრატების დანახარჯი მნიშვნელოვნად კლებულობს.

გალიური შენახვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფრინველის სრულფასოვან კვებას. მნიშვნელოვანია, რომ ულუფაში პროტეინის შემცველობა არ იყოს 17%- ზე ნაკლები. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფრინველისათვის მწვანე მასის, საცხობი საფუარის, სუფთა წყლის, მინერალური საკვების და ა.შ. მიცემა. რაც მთავარია, მკაცრად უნდა სრულდებოდეს სანიტარული წესების დაცვა.

## 8. დაავადებები და მათი პროფილაქტიკა

დაავადებული ფრინველის მკურნალობა არც ისე ადვილია და რა თქმა უნდა, დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია, სხვადასხვა დაავადებების აღსაკვეთად პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს საკვების ხარისხს, რომელიც უნდა იყოს ახალი და ციცრის საკვებზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილების შესაბამისი. გარდა ამისა, მუდმივად უნდა ხდებოდეს შენობის, საკვებურებისა და სარწყულებლების დასუფთავება, გარეცხვა. ახლომდებარე ადგილებში შინაური ფრინველის დაავადებების გავრცელების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა ჩატარდეს ინფექციის საწინააღმდეგო აცრები.

აღსანიშნავია, რომ ციცარი მდგრადია ბევრი ისეთ დაავადებების მიმართ, რომლითაც ავადდება ქათამი და ინდაური, მაგრამ მიუხედავად ამისა, აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, რადგან ზოგიერთმა დაავადებამ შეიძლება ციცრის მოზარდი გაანადგუროს. სასოფლო-სამეურნეო ფრინველებს შორის, ცივ კლიმატს ყველაზე უკეთ ციცარი იტანს. იგი იშვიათად ავადდება ტუბერკულოზით, თუმცა ხშირია ტრიქომონოზი, რომელსაც ერთუჯრედიანი პარაზიტი ტრიქომონა იწვევს. მისი ნახვა



შეიძლება მიკროსკოპის საშუალებით დაავადებული ფრინველის ბრმა ნაწლავში. ეს დაავადება ციცარს უჩნდება 8-10 დღის ასაკიდან 3 თვემდე. ამ დროს ფრინველი არ ჭამს, ნაკლებად მოძრაობს, ხშირად და ბევრ წყალს სვამს. შეინიშნება კუჭის ძლიერი აშლა, ყვითელი ქაფიანი სითხით. დაავადება მთავრდება კიდურების დამბლით, რასაც რამდენიმე საათში შეიძლება მოჰყვეს სულადობის მთლიანი განადგურება.

დღეისათვის ვეტერინალურ მედიცინას გააჩნია ისეთი ეფექტური პრეპარატები, რომლებიც არამარტო კურნავენ ამ დაავადებას, არამედ აღკვეთენ მის შემდგომ გავრცელებას მთელ სულადობაში.

არაგადამდებ დაავადებებს შორის ციცრისათვის დამახასიათებელია ავიტამინოზი ანუ ვიტამინების ნაკლებობა, განსაკუთრებით B ჯგუფების ვიტამინების, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ახალი საცხობი საფუარი. დადგენილია, რომ ციცრის კვება კომბინირებული საკვებით, რომელიც დასველებულია საცხობი საფუარის წყალხსნარით (0,6 გ 1 ფრთაზე დღეში) კარგად მოქმედებს როგორც მოზარდის, ასევე ზრდასრული ფრინველის ჯანმრთელობაზე: უმჯობესდება საკვების ათვისების უნარი, იზრდება კვერცხმდებლობა, ამასთან ერთად კვერცხიდან იჩეკება ჯანსაღი, კარგად განვითარებული წიწილა. ამიტომ სანაშენე სეზონის დაწყების წინ აუცილებელია ფრინველს დღეში ერთხელ, დილით, საკვების დანამატის სახით მიეცეს საცხობი საფუარი.

ძალიან ხშირია ზრდასრული ფრინველის და მოზარდის ტრავმირება. ციცარი მფრთხალი ფრინველია და საფრინველში უცხო ადამიანების, ძაღლების, კატების და სხვათა გამოჩენა მის სტრესს იწვევს. ამიტომ სასურველია, ღამის საათებში ფრინველი დაცული იყოს ზედმეტი გამაღიზიანებლებისა და საფრინველში უცხო პირთა შესვლისაგან.

ხშირად ციცრის დედალს, კვერცხდების დროს, აღენიშნება ყვითრის პერიტონიტი ან კვერცხსავალის გასკდომა, რაც ფრინველის დაცემით გამოწვეული ტრავმის შედეგია. აღნიშნული დაავადების საწყის ეტაპზე ფრინველს უდიდდება მუცელი, რომელიც მოსინჯვისას მკერძოვითაა. ასეთი ფრინველი იზოლირდება და დასაკლავად იგზავნება.

